



საქართველო  
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
საკრებულოს წევრი  
**GEORGIA**  
Rustavi Municipality City Assembly  
Member of Assembly

---

N 16159-02  
30/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს  
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული  
კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 7 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ჯღარკავა

საკრებულოს წევრი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



# საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

---

---

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ

## ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გიორგი ჯღარკავა

01.11.2018 – 01.11.2019

საანგარიშო პერიოდი:

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი
2. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი;

**დროებითი სამუშაო ჯგუფები:**

1. რუსთავის განვითარების, ტურიზმის საერთაშორის ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი
- 3 სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი;

▪ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე)  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 24 სხდომა

---

▪ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

74 დადგენილება;

162 განკარგულება

---

▪ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

▪ **კომისიები:**

- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ჩატარდა - 16 სხდომა;

დასწრება - 13 სხდომა;

---

- სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 9 სხდომა

დასწრება - 7 სხდომა

---

- ფრაქცია „ქართული ოცნება“

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

---

- დროებითი სამუშაო ჯგუფები:

- რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

ჩატარდა - 4 სხდომა

დასწრება - 4 სხდომა

---

- ახალგაზრდული საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

---

- სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

ჩატარდა - 1 სხდომა

---

- ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი :

ჩატარდა - 1 სხდომა

---

- ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის აკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:
  - 1) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ წევრი;
  - 2) „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი;
  - 3) „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილ სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი“;
  - 4) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტების მოძიება/მიღებასთან დაკავშირებული და ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტის თანადაფინანსებით პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი“;
  - 5) „უსახლკარო პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის წევრი“;
  - 6) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გასაცემად სამუშაო ჯგუფის წევრი“;
  - 7) „საპატიო წოდების მინიჭებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრი“;
  - 8) „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფის წევრი“;

- 
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

---

▪ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

სისტემატიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, იკვეთებოდა მათ პრობლემები და მუშავდებოდა გადაჭრის გზები. ამომრჩევლის მოთხოვნებისა და ინიციატივების გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები. განვლილ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დაიგეგმა სამუშაო ჯგუფის სტრატეგია და ქალაქის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება, საზღვარგარეთის ქვეყნების დედაქალაქების მუნიციპალიტეტებთან და თვითმმართველობებთან დაახლოება და შესაბამისი მემორანდუმების თუ ხელშეკრულებების ინიცირება-გაფორმება, აგრეთვე რუსთავის ეკონომიკური განვითარების კუთხით, მათი გამოცდილების გაზიარება.

როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, აქცია „მე+რუსთავის“ ფარგლებში, გავმართე შეხვედრა ჩემს სამაჟორიტარო უბანში მდებარე №5, №8 და №10 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ახალგაზრდებთან გამართულ შეხვედრებზე ვისაუბრე თვითმმართველობის არსსა და სტრუქტურაზე, გადაწყვეტილებების მიღებისა და საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, მონაწილეობაზე, ჩართვის მნიშვნელობასა და გზებზე.

რუსთავის განვითარების, ტურიზმის საერთაშორის ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განვიხილეთ ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა პოლონეთში ქალაქ გდინიაში. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში დადგინდა რუსთაველი ახალგაზრდების შეჩვევის კრიტერიუმები და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით შეირჩა 5 ახალგაზრდა 15-დან 18 წლამდე, რომლებიც გაემგზავრნენ პოლონეთში გაცვლით პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ემსახურებოდა ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლებას ბიზნესის კუთხით.

ვიმედოვნებ, რომ მიმდინარე წლის გამოცდილებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები შეძლებენ, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით უფრო ეფექტურად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.